



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-  
უბი სიფყვას, ფყილუბით და ჭებრბით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უჯადისებაჲ უსაბაგლსია.

გაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

პარასკევი, 1 თებერვალი. 2019 წ. №21-22 (8687-8688)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

## გაზის გაჟონვის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა!

თბილისში, ქეთევან წამებულის 67 ნომერში, გაზის გაჟონვის შედეგად რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. ინფორმაციას შსს ადასტურებს. შემთხვევას 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შვიდივე გარდაცვლილი „ლიბერთი ბანკის“ მშენებლობაზე მუშად მუშაობდა. მათ ქეთევან წამებულის გამზირზე ბინა ჰქონდათ ნაქირავები. გარდაცვლილებს შორის 2 მამა-შვილი იყვნენ. წინასწარი ინფორმაციით, ბინაში გაზის გაჟონვა ღია ტიპის წყლის გამაცხელებლიდან მოხდა.

„საქართველო-  
ლოს რესპუბლი-  
კის“ რედაქცია  
სამიწარს  
უცხადებს გარ-  
დაცვლილთა  
ოჯახებს და  
სრულიად სა-  
ქართველოს..


## გაზის რეგულაციები სასწრაფოდ გასამკაცრებელია!

გაზის რეგულაციები სას-  
წრაფოდ გასამკაცრებელია  
და თბილისის მერიას ამ მი-  
მართულებით შესაბამის უწყე-  
ბებთან უკვე დაწყებული აქვს  
კონსულტაციები – ამის შესა-  
ხებ დედაქალაქის მერმა კახა  
კალაძემ ქეთევან წამებულის  
გამზირზე განაცხადა, სადაც  
სავარაუდოდ, CO-ს დაგროვე-  
ბის შედეგადაც 7 ადამიანი  
გარდაიცვალა. თბილისის  
მერმა მწუხარება გამოთქვა  
მომხდარის გამო და აღნიშ-  
ნა, რომ რეგულაციების გა-  
სამკაცრებლად შესაბამისი  
საკანონმდებლო ცვლილებე-  
ბი უნდა მომზადდეს.  
„მინდა, მიუხაზომრო გარ-  
დაცვლილთა ოჯახებს და ახ-  
ლობებს. ყველამ ვიცით, რომ  
გარე წვის გამათბობლების და-

სურულ სივრცეში მონტაჟი კა-  
ტიგორიულად აკრძალულია, მი-  
თუმეტეს, კუსტარულად და ეს  
სერიოზულ შედეგებს იწვევს. მე  
ასლა გამიჭირდება იმის თქმა,  
თუ ვინ არის პასუხისმგებელი.  
ცხადია, პრობლემა არსებობს ამ  
მიმართულებით. მერიაში მქონდა  
შეხვედრა მარეგულირებელი კო-  
მისიის ხელმძღვანელთან, ენერ-  
გეტიკის სფეროს წარმომადგე-  
ნელთან, ეკონომიკის მინისტრის  
მოადგილესთან და ჩვენ ყველა  
გხვდავთ, რომ ამის აუცილებლო-  
ბა არის. შემთხვევები, შიდილე-  
ბა ხდებოდა, როგორც კომპა-  
ნიის, ასევე, მოზინადრეების და-  
უდევრობის შედეგად“, – გა-  
ნაცხადა თბილისის მერმა.  
კახა კალაძის თქმით, შე-  
საძლოა, სავალდებულო გახდეს  
დეტექტორების დამონტაჟება

საცხოვრებელ ბინებში, რასაც  
მერიაც შეუწყობს ხელს.  
„მერიას შეუძლია, მონაწი-  
ლეობა მიიღოს პროექტში,  
რომ ადამიანებს შევეუმსუბუ-  
ქოთ გადასახადები ამ მიმარ-  
თულებით. საუბარი იყო ასე-  
ვე, რომ წითელ საზებს შიგნით  
იყოს ლიცენზირებული, სერ-  
ტიფიცირებული კომპანიები,  
რომლებიც დაამონტაჟებენ იმ  
გამათბობლებს, რომლებსაც  
შეიძენს თვითონ აბონენტი.  
დღეისათვის მათ აქვთ შე-  
საძლებლობა, ნებისმიერ ადა-  
მიანთან მივიდნენ და განახორ-  
ციელონ მონტაჟი. როგორც  
გხვდავთ, პრობლემა სერიო-  
ზულია და მისი გადაჭრა შე-  
საბამის საკანონმდებლო  
ცვლილებებს საჭიროებს“ –  
განაცხადა კახა კალაძემ.

## პატრიარქი: იმისათვის, რომ უკრაინას დავეხაროთ, საჭიროა დრო!



საქართველოს საპატრიარქო თბილისში მსოფლიო  
დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადებას აპ-  
რცხლებს.

როგორც განცხადებაში წერია, საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქმა კონსტანტინოპოლელ მიტროპოლიტებთან შეხვედ-  
რისას აღნიშნა, რომ უკრაინის დასახმარებლად, რათა საეკლესიო  
ცხოვრებაში მშვიდობამ დაისადგუროს და არსებული პრობლე-  
მები გადაიჭრას, საჭიროა დრო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: იმისათ-  
ვის, რომ დავეხმაროთ უკრაინას, რათა საეკლესიო ცხოვრება-  
ში მშვიდობამ დაისადგუროს და არსებული პრობლემები გა-  
დაიჭრას, საჭიროა დრო. მეუფე ემანუელიც დაეთანხმა მას და  
თქვა, რომ იგი დარწმუნებულია, კათოლიკოს-პატრიარქის  
სიბრძნეში. „როგორც მიტროპოლიტმა ემანუელმა აღნიშნა, ამ  
ჩამოსვლის მიზანია უკრაინის ეკლესიისთვის ტომოსის მინიჭე-  
ბასთან დაკავშირებით მსოფლიო საპატრიარქოს პოზიციის გან-  
მარტება და დასმინა, რომ ეს ვიზიტი არ უნდა იქნას ალქმული,  
როგორც მათი აზრის თავსმოსხვევის მცდელობა, არამედ მხო-  
ლოდ პოზიციის გაცნობა. შემდეგ კი დაწვრილებით ისაუბრა ტო-  
მოსთან დაკავშირებით ა.წ. 6 იანვრამდე განვითარებულ მოვ-  
ლენებზე“, – აღნიშნულია განცხადებაში.

საპატრიარქოს განცხადებით, შეხვედრისას მიღწეული მთა-  
ვარი შედეგი არის ის, რომ ორივე მხარე თანხმდება, ყველამ უნდა  
იზრუნოს მართლმადიდებელთა ერთობისათვის, ხოლო უკრა-  
ინის თემასთან მიმართებაში აჩქარება სიკეთის მომტანი არ იქ-  
ნება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწ-  
მინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის წევრებთან  
ერთად რეზიდენციაში მიიღო კონსტანტინოპოლის საპატრი-  
არქოს წარმომადგენლები: გალიის მიტროპოლიტი, მაღალყოვ-  
ლადუსამღვდელოესი ემანუელი და ანდრიანოპოლისის მიტრო-  
პოლიტი მაღალყოვლადუსამღვდელოესი ამფილოქე.

## ჯანდაცვა: 10 მოსპარი საფრთხე 2019-ში 6

## უუუის 4 არქიტექტურა და პოლიტიკა



## «ვაშინერს»! „ლაზიკის“ ოინები, 3 ანუ განღება თუ არა „ჩქინი ნოსა“ ზუბდილის მერი?!



## აფსაზეთი ქაოსის და დაუსჯელობის მორავში ჩაიძირა





# ინფრასტრუქტურული განვითარება ჩვენი პრიორიტეტია!

ერ-მინისტრმა. მამუკა ბახტაძის განმარტებით, პოლიტიკური გუნდისთვის რეგიონული განვითარება ყოველთვის გახლდათ განსაკუთრებული პრიორიტეტი და ეს ყველაზე კარგად აისახება ბიუჯეტის ციფრებში და პარამეტრებში.

„2012 წელთან შედარებით, ჩვენ ფაქტობრივად, გავასამაგეთ ბიუჯეტი ამ მიმართულებით, ხოლო შარშანდელთან შედარებით ჩვენ 20 პროცენტით გავზარდეთ 2019 წლის ბიუჯეტი ჩვენი რეგიონებისთვის, მათი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და 2019 წელს ის შეადგენს დაახლოებით ორ მილიარდ ლარს.

ნებისმიერი დამატებითი ინვესტიცია ჩვენს რეგიონულ ინფრასტრუქტურაში დამატებით სიცოცხლეს ჩვენი რეგიონებისთვის, ნიშნავს დამატებით შესაძლებლობებს ჩვენი მოქალაქეებისთვის. ჩვენი

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა გახლავთ ინველუზიური ზრდა, ისეთი ტიპის ზრდა, რომელიც შეეხება ჩვენს ყველა მოქალაქეს. ეს მიიღწევა მხოლოდ სწორი და თანაბარი რეგიონული განვითარებით.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და გაორმაგებულია განათლების ინფრასტრუქტურის ინვესტიციები 2019 წლის ბიუჯეტში. რამდენიმე ათეული ახალი სკოლა აშენდება 2019 წელს საქართველოს ყველა კუთხეში და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იმ რეფორმის, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ განათლების სისტემაში. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები, როგორც არის წყლისა და კანალიზაციის სის-


ტემის მონერსიგება, ბევრი ქალაქისა თუ სოფლისთვის ახალი გზების მშენებლობა და ა.შ., - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მამუკა ბახტაძემ ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ ახალი ტრანსევროპული სატრანსპორტო სისტემის განვითარების პროგრამებზეც გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ ეს არის ძალიან დიდი გამარჯვება,

„ეს ნიშნავს იმას, რომ მომდევნო წლებში ჩვენ, ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად შევძლებთ, განვაავითაროთ საქართველოში ჩვენი ინფრასტრუქტურა. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო კიდევ უფრო უკეთესად იქნება ინტეგრირებული ევროპულ სატრანსპორტო სისტემებთან“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## საქართველომ პენსიულასთან დაკავშირებით ყველაზე თანამიმდევრულად განხილვა მიიღო

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როს ვილსონი 29 იანვარს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის ჯონ ბოლტონის სატელეფონო საუბარს აფასებს.



მისი განცხადებით, პრეზიდენტის მრჩეველი დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ და პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბრისას, სხვა თემებთან ერთად განიხილეს, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხები

„მოგესხნებათ ბატონო ჯონ ბოლტონი დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ. ის თქვენს ქვეყანას გასული წლის ოქტომბერში

ენჯია. მან შეიტყო საიხლე საქართველოს მიერ ვენესუელის ახალი გარდამავალი პრეზიდენტის მხარდაჭერის შესახებ და საჭიროდ ჩათვალა, დაერეკა საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის და მადლობა გადაეხადა მისთვის, რადგან საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი თუ არა უპირველესი, რომელმაც მიიღო ასეთი თამამი გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, სატელეფონო საუბარი ასევე შეეხო სხვა საკითხებს. ფართოდ განიხილეს ურთიერთთანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, რასაც ძალიან დადებითად ვაფასებ“, - განაცხადა როს ვილსონმა.

აღნიშნული კომენტარი როს ვილსონმა 30 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრთან დავით ზალკალიანთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

## ბიორგი ბახარია აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს როს ვილსონს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი ბახარია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, ბატონ როს ვილსონთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა უსაფრთხოების კუთხით, რეგიონში არსებულ ვითარებაზე და ამ კონტექსტში თანამშრომლობის შემდგომ გადამხილვაზე ისაუბრეს.

მინისტრმა განხილავს ხაზი გაუსვა საქართველოს-

თვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას. მან ასევე ისაუბრა როგორც ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და უსაფრთხოების გაძლიერების, ასევე უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებისა და მიმდინარე რეფორმების პროცესში ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.



## კორეა და საქართველო შეთანხმებას მოახერხეს ხელი

საქართველოს მთავრობის სახელით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა და კორეის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრმა ლი ტე-ჰომი ხელი მოაწერეს შეთანხმებას „კორეის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან სესხების გამოყოფის შესახებ“.

აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ჩარჩო შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს კორეის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონ-



დიდან (EDCF) საქართველოსთვის სესხების გამოყოფის ძირითად პრინციპებს. შეთანხმების ფარგლებში, შემდგომში კორეის „ექსიმბანკის“ მეშვეობით, კორეის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან სესხები მიმართული იქნება საქართველოში სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად.

ალსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეთანხმების ფარგლებში ყოველი პროექტის დაფინანსების მიზნით, გაფორმდება დამატებითი ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრული იქნება სესხის ფინანსური პირობები. შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას.

## მიხეილ დილიაშვილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსად მიხეილ დილიაშვილი დაინიშნა. დილიაშვილი ამ დრომდე აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა.



შეგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა თეიმურაზ კუპატაძემ გუშინ დატოვა. ის სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

## უსს-მ კიდევ ერთი ფარული ვიდეორეგისტრირებული დაბლოკვა

უსს-მ სოციალურ ქსელში გავრცელებული კიდევ ერთი ფარული ვიდეორეგისტრირებული დაბლოკვა. სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 157-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც პირადი ცხოვრების სიადუმილოს ხელყოფას გულისხმობს. უწყებაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები სორციელდება.

# ამორალური ქმედება და უმკიფისი დანაშაული

## ფრაქცია «ქართული ოცნება» ეკა ბესელიას სოლიდარობას უცხადებს

რამდენიმე დღეა, არ წყდება ინფორმაციის გაშუქება იმის შესახებ, რომ ხდება ჩვენი ფრაქციის წევრის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება.

დღემდე ის საკითხიც კი, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ასეთ ფაქტს ადგილი, ეჭვქვეშ იდგა. თუმცა, დღეს სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ასეთი კადრები გამოჩნდა სოცია-

ლურ ქსელებშიც. მიგვაჩნია, რომ ადამიანის პირად სივრცეში შეჭრა და შესაბამისი კადრების გავრცელება არის ერთ-ერთი ყველაზე უზნეო, ამორალური ქმედება და უმკიფისი დანაშაული, რასაც მყისიერი რეაგირება სჭირდება.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საგამოძიებო ორგანოებს, ყველა ღონე იმ მარონ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში დადგინდეს, ვინ დგას ამ ფაქ-

ტის უკან. დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისჯონ უმკაცრესად, რათა მომავალში ვერავინ შეძლოს მსგავსი ამორალური დანაშაულის ჩადენა და გაფიქრებაც კი.

ჩვენ ბოლომდე სოლიდარულები ვართ, როგორც ჩვენი ფრაქციის წევრის ეკა ბესელიას, ასევე ნებისმიერი პირის მიმართ, ვინც შეიძლება ასეთი უზნეობის მსხვერპლი გახდეს და საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ

როგორ განსხვავებულ აზრს ან პოზიციას აფიქსირებს რომელიმე თემაზე - არსებობს საკითხები, სადაც ყველანი უნდა დავდგეთ ერთად და საბოლოოდ დავამარცხოთ ასეთი უღირსი მოქმედებები. პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და მის უზრუნველსაყოფად როგორც პოლიტიკოსები, ასევე მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს!..

„ქართული ოცნება“



# რეგიონის ლიდერ საქართველოში დემოკრატიის უკან იხეხვს

29 იანვარს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2018 წლის კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერად რჩება, თუ მთავრობა სასწრაფოდ არ გადადგამს ნაბიჯებს ინსტიტუტების, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და არ დაუჭერს მხარს სამოქალაქო საზოგადოებას, მდგომარეობა შეიძლება ადვილად გაუარესდეს.

ანგარიშის თანახმად, რომელიც ვითარებას მსოფლიოს 180 ქვეყანასა და ტერიტორიაზე აფასებს, საქართველო შარშანდელთან შედარებით ხუთი საფეხურით არის დაწინაურებული და 58 ქულით 41-ე ადგილზეა; შარშან საქართველო 56 ქულით 46-ე ადგილზე იყო.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ საქართველოში დემოკრატია უკან იხეხვს, რაც მაღალი დონის კორუფციის საფრთხეს ქმნის, ნათქვამია ანგარიშში; ამის მიზეზად სამართალდამცველთა ანგარიშვალდებულების სიმცირე, სასამართლოს სისტემაში არსებული კორუფცია და პოლიტიკური ჩარევები, სახელმწიფოს მიტაცება და სამოქალაქო საზოგადოებაზე მთავრობის მხრიდან მხარდაჭერილი თავდასხმები სახელდება. „მიუხედავად მთავრობაში კორუფციის და დარღვევების შემთხვევების სასწრაფო გამოძიების საჭიროებისა, საქართველომ ვერ მოახერხა, შეექმნა დამოუკიდებელი უწყება, რომელიც ამ ფუნქციას განახორციელებდა; დაუზღველობა ასაზრდოვებს მოსახლეობას უნდობლობას; „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევის მი-

ხედვით, მოსახლეობის 36 პროცენტს სჯერა, რომ თანამდებობის პირები ძალაუფლებას პირადი სარგებლობისთვის იყენებენ“ – ნათქვამია ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ 2013 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 12 პროცენტის ფიქრობდა ასე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ კვლევაში საქართველო იმ ქვეყნების სიაშია მოხვედრილი, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დააკვირდნენ მომავალი წლების განმავლობაში. ტრადიციულად, 180 ქვეყანასა და ტერიტორიაზე საჯარო სექტორში არსებული კორუფციის აღქმის ხარისხი იზომება ექსპერტებისა და ბიზნესის წარმომადგენელთა შეფასებებით.

ინდექსი ითვლება ნულიდან ასამდე და რაც მეტია ქულა, მით ნაკლებად კორუმპირებულია არის შეფასებული ქვეყანაში არსებული ვითარება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თანახმად, ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნებს შორის ლიდერობენ დანია (88 ქულით), ახალი ზელანდია (87) და ფინეთი (85).

2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად აშშ-მა, წინა წელთან შედარებით, დაკარგა ოთხი ქულა და საბოლოო ჯამში 71 ქულით 22-ე ადგილზეა, რაც ანგარიშის ავტორთა თანახმად, კორუფციის აღქმის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ბოლო 7 წლის განმავლობაში.

კორუმპირებულ ქვეყნებს შორის არიან აზერბაიჯანი – 152-ე ადგილი და რუსეთი – 138-ე.

რეგიონების მიხედვით ყველაზე არაკორუმპირებადი დასავლეთ ევროპაა, საშუალო ქულით – 66; აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში საშუალო ქულაა – 35.



«ვაზინარს»!

# „ლაზიკის“ ოინები,

## ანუ გახდება თუ არა „ჩქინი ნოსა“ ზუგდიდის პირი?!

ბუნებრივია, ამ განცხადებით სააკაშვილმა „კოჭი გაუგორა“ ზუგდიდელებს. მთავარია, ნამოგებთან თუ არა ისინი მის მიერ გადაგდებულ ანკესზე და ვიხილავთ თუ არა ქ-ნ რულოვს ზუგდიდის „ძღვევამოსილ“ მერად!

არ ვიცი, ზედმეტად გადაჭარბებულია თუ არა, მაგრამ, პირად საუბრებში უკვე მარჩიელობენ, რომ შეიძლება რულოვსმა ზუგდიდში მხარდაჭერა მიიღოს, რადგან, სააკაშვილის მიმართ ნოსტალგია დღესაც დიდია!

მდაა!!!  
ეტყობა, ან მესხიერება ღალატობთ ჩემს საყვარელ ზუგდიდელებს, ან... ღირსებაზე ხელი ჩაიქნის და წარსულს გააყოფს სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკე, რომელიც საკუთარ ტყავზე ყველაზე მეტად სამეგრელომ გამოსცადა ძღვევამოსილი ახალაიების კლანის წყალობით!

ეტყობა, წარსულს ჩაბარდა სამეგრელოს ტყის ამაზრზენი კადრებიც...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზუგდიდის მერი, სხვა თუ არაფერი, ზუგდიდელი მაინც ხომ უნდა იყოს?! არ ვიცი, რა პოზიცია ექნება „ქართულ ოცნებას“ და ვის დაუპირისპირებს ქ-ნ სანდრას ზუგდიდის მერის არჩევნებში და რამდენად რეალურია მისი გამარჯვება, მაგრამ, სანდრას ზუგდიდში გამეგრების იდეაც კი მაღიზიანებს.

ისე, უნდა ვაღიარო: ნამეტანი გულჩვილი ხალხი ვართ მეგრელები – თავის დროზე პოლანდიელი „პრინცესას“ ნამღერმა მეგრულმა მელიდიამ მაშინ გული აგვიჩუყა და მოფერებით მას „ჩქინი ნოსა“ (ჩვენს რძალი) შევარქვით. ამ ემოციებს უკან ხომ არ წავიღებთ და „ჩქინი ნოსას“ ხომ არ გავანბილებთ?!

მომიტევონ ჩემმა ძვირფასმა ზუგდიდელებმა, მაგრამ, მიმიფურთხებია იმ სამეგრელოსთვის, სანდრა რულოვს ზუგდიდის მერად რომ აირჩევს!

ზაურ ნაჭყვიაძე,  
პუბლიცისტი

ვაზინარს (მეგრ.) – ღმერთმა ნუ ქნას, მტრისას...



# საქართველო ყველაზე მასშტაბურ გასტრონომიულ გამოფენაში SIRHA პირველად მონაწილეობს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ საქართველოს ინტეგრირებული საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო გამოფენაში საქართველოს ჩართვის თანაორგანიზატორები არიან. გამოფენაში მონაწილეობას ორგანიზებას უწევს საქართველოს კულინარიის ფედერაცია და კვების დაწესებულების ბიზნესსააგენტო „გასტრონავიტი“.

გამოფენა, რომელმაც 6 000-ზე მეტი ვიზიტორს უმასპინძლა, ქალაქ ლიონის მერმა, ჟერარდ კოლომბიმ და გასტრონომიული ჩემპიონატის Bocuse d'Or პრეზიდენტმა ჟერომე ბოკიუზიმ გახსნეს.

გამოფენაზე საქართველო 11-მა ახალგაზრდა მზარეულმა შეფმზარეულის ლევან კობიაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინა და გამოფენის სტუმრებს ქართული კერძები და ავთენტური ინგრედიენტები გაცნო.

„ჩვენ გავხდით დიდი კულინარიული ოჯახის სრულ-



ფასოვანი წევრი. ქართულ სამზარეულოს უკვე პროფესიონალები წარადგინენ და მსოფლიოს გააცნობენ იმ მაღალი სტანდარტით, რასაც Syrha If Bocuse d'Or ითვალისწინებს“, – განაცხადა დავით ტყემალაძემ.

გამოფენაზე ქართული კერძები ღია სამზარეულოში მზადდება და ვიზიტორებს საშუალება აქვთ, მომზადების პროცესს დაესწრონ და დააგემოვნონ ისეთი ქართული კერძები, როგორცაა ხინკალი, ხაჭაპური, ჩაქაფული, დამბალხაჭო, ხარჩო, ელარჯი და ა.შ. სპეციალური სივრცეა გამოყოფილი ღვინის დეგუსტაციისთვისაც.

ქართული სტენდზე კერძები Bocuse d'Or -ის პრეზიდენტმა ჟერომე ბოკიუზიმ დააგემოვნა. ქართულ სტენდს სტუმრობდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი შეფ-მზარეული ფრანსუა ბაკრიც. იგი ქართველ მზარეულებს შეხვდა და მათ გამოცდილება და შთაბეჭდილებები გაუზიარა.

# არტ ინკუბატორი თბილისის კრეატიულ სენტრში

არტ ინკუბატორი შესაძლებლობას აძლევს კრეატიულ ინდუსტრიებში მომუშავე პირებს, შექმნან სტარტაპები, მოიძიონ საერთაშორისო პარტნიორები, გაიუმჯობესონ ბიზნეს ინგლისურის ცოდნა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ გამართულ ვორკშოპებში და საერთაშორისო კონკურსებში. არტ ინკუბატორის წევრი სტარტაპერებისთვის უსასყიდლოდ გაიხსნება ბრიტანული საბჭოს მიერ მონაწილეებული პლატფორმა English Learning Programme – English Channel.

არტ ინკუბატორის პარტნიორია BTU – ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და მსოფლიო რეიტინგის 20 საუკეთესო სამენარეო ცენტრებს შორის დასახელებული ბრიტანული Henley Center for Entrepreneurship.

# სურამში ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის იგეგმვა

31 იანვარს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეებმა მიხეილ გიორგაძემ და ლევან ხარატიშვილმა საქართველოში უკრაინის ელჩს იზორ დოლოპოვს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორს ნიკოლოზ ანთიძეს უმსაბინძლეს. შესვენდა-



ზე საუბარი შეეხო სურამში მდებარე ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტს.

სურამში, უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ადგილობრივი თვითმართველობასთან თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელებს.



**ლიბერალიზმის ფარისევლობას რომ მიმოიხილავს, ჯორჯ სანტიანა აღნიშნავს ერთ გამორჩეულ ნიშანს ლიბერალური თავისუფლებისა; რომ თუ მსხვერპლს არ შესწირავ ამგვარი თავისუფლების საკუთრებულზე და ლიბერალიზმს არ გამოუცხადებ, სამოქალაქო სიკვდილი გარანტირებული გაქვს: არ დაგიჭერენ, არ გადაგასახლებენ და არ დაგხვრეტენ, მაგრამ არსად შეგიშვებენ, არსად გახსენებენ, არსად გაგაკარებენ და თან გამოუდებით გაყვედრებენ, შენი უფლებები კანონი დაცულიაო.**

თბილისში ეფხით სიარული ყოველთვის მიყვარდა, განსაკუთრებით ძველ თბილისში. ძველ თბილისს ვუნოდებთ ქალაქის ცენტრში შემორჩენილ, მეთვრამეტე საუკუნის დროინდელ რამდენიმე შენობას, შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ რამდენიმე ტაძარსა თუ ისტორიულ ძეგლს, თორემ სადღაც ძველი თბილისი?

ძველი თბილისის არქიტექტურა ქართულის, სპარსულის, არაბულის, თურქულის (ესენი იპყრობდნენ ძირითადად თბილისს) ნაზავი უნდა ყოფილიყო.

მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი შენობები და ქუჩებიც ძველია, რუსების ნებითაა გადაწყვეტილი და მოწვეული არქიტექტორების მიერ დაგეგმილ-ნაშენები. რუსებმავე (თუ არ ვცდები, ვორონცოვმა) მოანგრიეს და დააქციეს ქალაქ თბილისის გალავანი და სახე დაუკარგეს უძველეს ქალაქს.

მერე ბოლშევიკები მოვიდნენ და ახლა იმათ დაიწყეს ნგრევა-შენება და დიდხანს აშენეს, სანამ სულ არ გაუქრეს იერი და მთლად არ დაამახინჯეს.

ახლა — გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან — ქალაქის მერები და დეველოპერები შეუდგნენ თბილისის შენებას და აპა, ინებეთ! მოგწონთ, რასაც აშენებენ და როგორც აშენებენ?

თუ ძველი თბილისის რუკას დაიჭერ ხელში და ნარიყალაზე ან მამადავითზე, ან მეტეხის ნაცხარზე ახვალ, შეიძლება წარმოიდგინო, როგორი იყო ქალაქი და როგორ უნდა განვითარებულიყო.

დღეს, როცა ისეთ ადგილზე მოვხვდებით, საიდანაც ქალაქის ხედი გადაიშლება, გაოცებული, შიშით შევყურებ ქალაქში წამომართულ ახალ ორიენტირებს. მათგან მთავარი რუსთაველის პროსპექტზე წამოჭმული სასტუმრო „ბილტმორის“ უსახური სვეტია. გონება მამხვილებს თბილისელებმა წაიქილი კეს, თქვენთან უკაცრავად ვარ, — ეგ უნდა იჩუტებოდეს და...! — ჰო, უხამსი ხუმრობაა, ძველთბილისური, მაგრამ ამ მახინჯ ადრეკილზე შედგამოჭრილია!

გაბატონდა ეს გაუგებრობა თბილისის მთავარ გამზირზე, გარს შემოირტყა შორიხლოს მდგარი, მასავით უსახური შენობები და აღარ არის თბილისი თბილისი, გადასხვავდნენ, აღარც მშვენიერ ბუნებრივ გარემოს ერგება და არგებს რამეს და აღარც კაცის თვალს ეამება.

ამ თბილისურ ცათამბვჯენს, მამადავითს რომ ეჯიბრება და მის მსგავს უსახურობათ, ერთი რამაც აქვთ საერთო, ისინი შუშისანი არიან. ესაა ე.წ. შუშის არქიტექტურა.

ესაა გამჭვირვალობის ნიმუში, გვარნმუნებდა ექსპრესიონიზმი მიშა სააკაშვილი. პოლიციის შუშის შენობები გამჭვირვალეა როგორც გარედან ისე შიგნიდან; აქ აღარ მოხდება ისეთი რამ, ხალხმა რომ არ იცოდესო.

ღმერთო დიდებული! თურმე შიგნით ისეთი რამ ხდებოდა, რომ ნეტავ არც გაგვეო არასოდეს!

არასამთავრობო ორგანიზაცია იქა-დნება, საერთაშორისო გამჭვირვალობა ვარო. სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს, ქალაქქვეყანას შეძრავს და აამბუტებს, შეხედ ხალხო, რა კანონდარღვევა ხდება და როცა შევედრებინ, ეგ ინფორმაცია ვინ მოგცა, ეგებ გაგვიმხილო, რომ გამოვიძიოთ და დამნაშავე დავსაჯოთო, უპასუხებს, არაო, ინფორმაციის ვერ გავაძლევო და ისეთი ქუში სახით და შუშის თვალებით იმზირებიან, აი, ძველ პარტმუშაკებსა და კომკავშირებს რომ სჩვეოდათ. ყველაფერი აინტერესებთ ყველას და ყველაფრის შესახებ, მაგრამ საკუთარ თავზე არაფერს გეტყვიან. აბა ჰკითხე, რითი არსებობ ან ადრე რას საქმიანობდით,

— არ გეტყვის, დაგიმალავს. სად განისწავლეო, რომ ჰკითხავ, — დასავლეთში გიპასუხებს. დასავლეთში ხელფასის ოდენობით დაინტერესება ცუდი ტონია, მაგრამ ის, თუ რა გიკეთებია, რით ცხოვრობ, ანუ პურს რითი ჭამ, არ უნდა და-მალო.

**ჩაპიტლია სამართაშორისო გამჭვირვალობა!**

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე, წარმოგვიდგა ტელეეკრანიდან და ისტიბარ-გატეხილმა გვამცნო, შევცდითო, შრომა დავაკელითო, ესლა გავალთ და ხალხს შევხვდებით, მოვუხმენტო. მის ერთ-ერთ ამომრჩევლს, ხანში შესულ პოლიტიკოსს ესამოვნა, გონზე მოსულანო, იფიქრა და დაურეკა. თანაშემწემ უპასუხა. ამან უთხრა, ესა და ეს კაცი ვარ, ამა და ამ მოწვევის დეპუტატი, ამა და ამ თანამდებობებზე მიმუშავია, მინდა მხარში

მერე კი ისევ ივინყებს დანაპირებს, ყრუდებდა... და მრავალი უსამართლოდ დარბიული დაავადდა და გარდაიცვალა სამართლის მოლოდინში; ამას კაფკას სინდრომი ჰქვია! გერმანიაში ყრუ ბიუროკრატისა რომ წააწყდებიან, — ეს რა კაფკააო, იტყვიან! ათასობით კაცი ელის სამართლის აღდგენას, მაგრამ კარი ჩაკეტილია. მოქალაქე ითხოვს, პასუხი მაღირსეთ, თუნდაც უარყოფითი იყოსო! კარი ჩაკეტილია.

**ჩაპიტლია სამართლის კარი!**

სამართლის კარის ჩაკეტილობა უსამართლობას იწვევს. მოქალაქეს შვილი მოუკლეს და სამართალმა ვერ იმუშავა, პასუხი არ აგებინა დამამავეებს. მოქალაქე გადის ქალაქის ცენტრში, მხარში ამოიყენებს თანამოაზრეებს, იშოვის დაფინანსებას და დასცემს კარებს. უხარიათ დემაგოგებსა და ხელისუფლების დამხობის მსურველებს, სამიტინგე ადგილი დაიბევის. აბა სცადე და მიდი ახლა იმ კაც-

**უშუს არქიტექტურა და პოლიტიკა**



ამოგიდგეთ და სად მოვიდე, რომ ბატონ მამუკას შევხვდე, ჩემი აზრები გავუზიარო, ეგებ გამოადგესო. თანაშემწემ უპასუხა, ბატონი მამუკა შეხვედრებზე, მერე ხალხი უნდა მიიღოს, ორმოცდაათი კაცი მაინც იქნება დღეში, ასე რომ, უკაცრავად, ვერ შეხვდებით, მე მითხარით და გადავცემო. სახტად დარჩენილმა კაცმა მაღლოდა გადაუხადა, ტელეფონი გამოართო და იმ საღამოს სულ იმას ფიქრობდა, ნეტა სად ხვდება ხალხს ეს დალოცვილი, მე რატომ ვერ ვიგებ, ამ უბნის დეპუტატი და მეც ხომ აქ ვცხოვრობო, ან ის ორმოცდაათი კაცი ვინ არის, ან რა სატატუსის ხალხია, ან რა წარსულისა, ან რა დღევანდელი გაუდიანო, რომ მე მათ შორის ვერ მოხვდებიო.

**ჩაპიტლია პარლამენტის წევრი, შერაგვასობის ლიდერი!**

მოქალაქე მიდის მერიაში და ჩივის, ათი წელიწადია, ჩვენი კორპუსის დასრულებასა და ჩაბარებას ვერ ვეღირსეთ. დაგვემარეთ, ანტისანიტარიაში ვცხოვრობთ, ეზოში წუმპე და ტალახია, ან ქალაქის მერს შემხვედრეთ ან მის მოადგილეს, ეგება გვიშველოსო. მერიის დაბალი რანგის ჩინოვნიკი პასუხობს, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით, მაგ კორპუსში ბინა არ უნდა გეყვადო!

**ჩაპიტლია მირია!**

მოქალაქეს ჩამოართვეს ქონება, მუქარით აჩუქებინეს სახელმწიფოსათვის, 2006 წელს. მოქალაქე სამართალს ელის, ანუ სამართლიანობის აღდგენას. დგას სამართლის კართან, ანუ სამართლიანობის აღდგენის კომისიის კართან. კარი ღიააო, ირწმუნებინ, მაგრამ პასუხი არ არის, არ არის პასუხი! ის ვისი ბრძანებითაც ქონება ჩამოართვეს, ირაკლი ოქრუაშვილი, ქართული ტელევიზიების ერთ-ერთი სასურველი სახეა, ზის და ტელეეკრანებიდან სახელმწიფო საქმეებზე საუბრობს, სამართალზე და ზნეობაზე მსჯელობს! დრო გადის, მოქალაქე იღლებს, იმედს კარგავს; არჩევნების დროს ცოტა აქტიურდება ხელისუფლება, დაიქადნება სამართლიანობას აღვადგენო,

თან, დაელაპარაკე, შეასმინე რამე. არ მოგისმენს, მხოლოდ იმას გაიგებს და მიიღებს, რაც მას უნდა. მადა ჭამაში მოდისო და გამრავლდა კარები რუსთაველზე. არადა, იმ ადგილზე დაცემული კარები და გამოთქმული პროტესტი ცუდად გვაქვს დაცდილი. იმ ადგილზე ტაძარი იდგა და კოჯორ-ტაბახმელას გმირების საფლავები იყო. იმ ადგილზე გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველთა შორის. იმ ადგილას დაარბიეს და დახოცეს მომიტინგეები. მოკლედ ნაძრახი, ნავსი ადგილია. კაცსა და მის მხარდამჭერებს არაფრის გაგონება არ სურთ.

**ჩაპიტლია კაცის გონება!**

როცა თელავში საზეიმოდ მიმდინარეობდა ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილები პროკურატურასთან საშემოლოდ დასხდნენ და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის ძიების განხანგში იმყოფებოდნენ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე ჯერაც გამოუძიებელია. და არა-თუ გამოუძიებელია, შეიძლება ხანდაზმულობის გამო სულაც დაეხურათ.

მოდი, ისიც გავისხენოთ, რომ არც 1991-92 წლების პუტჩია სამართლებრივად შეფასებული და არც 2013 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია. არც ერთზე სამართლო არ გამართულა, იმიტომ, რომ არამიზანშენონილია! როგორ უნდა შეეჭმნათ სამართლებრივი სახელმწიფო, როცა მიზანშენონილობა სამართალზე მაღლა დგას?

**მეტი უსამართლობა წარმოუდგენილი!**

ცნობილი ექსპერტი გია ხუბაშვილი ამბობს, თელავში პრეზიდენტის ინაუგურაცია არ უნდა დაენიშნათ, თელავი საქართველოს მონარქიის ანუ სახელმწიფოებრიობის დასრულებასთან ასოცირდებაო. საიდან მოიტანა? ვის უთქვამს? სად დაწერილა? ვის დაუწერია? ექსპერტმა რომ საქართველოს ისტორია

არ იცის, გასაკვირი არ არის, მაგრამ პრეზიდენტის მრჩეველებმა რომ არ იციან! საინაუგურაციო სიტყვებშიც იგივე რომ ისმის?! თელავი ასოცირებულია ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებასთან! აქედან გაერთიანდა ქართლი და კახეთი და იმერეთსაც შეეერთებდა, რომ დასცლოდა ერეკლე II-ს. საქართველოს მონარქიის დასრულებასთან ასოცირებულია თბილისი. აქ მომზადდა გეორგიევსკის ტრაქტატი, აქ გარდაიცვალა საქართველოს ბოლო მეფე, აქ, სიონის ტაძარში, შერეკეს რუსებმა ქართველი თავდაზნაურობა და ზარბაზნების ქვეშ დააფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. მამ ალარაფერი ვიდდე-სასწაულოთ თბილისში?! მხოლოდ იმიტომ, რომ ერეკლე მეორე თელავში დაიბადა, თელავს საყვედური ვუთხრათ?! სტალინი გორში დაიბადა და საზეიმო ღონისძიებები აღარ ჩავატაროთ?!

**ასე ჩაპიტავთ ჩვენს ისტორიას და ჩაპიტვიდან დაპინფიხავთ ერთი ნაბიჯია.**

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა საინაუგურაციო სიტყვაში ზვიად გამსახურდია და დამოუკიდებლობისთვის გამართული რევოლუციის დასახელება რევოლუციის შედეგების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ჰო, იყო უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს ისტორიაში, მაგრამ აღარ ახსოვთ. 1918 წელი და დამოუკიდებლობის აქტი ახსოვთ, სათანადო პატივს მიაგებენ. მაგრამ არაფერს ახსენებს 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტს. იმდროინდელ პარლამენტს, მის წევრებს მარგინალებს უწოდებენ, დასცინიან. მათი რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს. რამდენიმე წელიწადში ორიოდება რომ დარჩება, მერე გაახსენდებთ და ეგებ გამოაჩინონ კიდევ, როგორც საზეიმო ნიმუშები, როგორც დინოზავრები. არა მგონია, რომელიმე მათგანი ინაუგურაციაზე მიწვეული ყოფილიყო, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი. შოუ ბიზნესის ვარსკვლავები ხომ არ დავინყებიათ! იტყვიან, ნაწყენია ინაუგურაციაზე რომ არ მიიწვიესო. ჰო, ნაწყენი ვარ მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე არ მიმწვიეს, იმიტომ რომ არაფერს მიიწვიეს. უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და მისი მოადგილე მაინც დაეპატიჟათ. ამით კავშირს გააბამდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან, აჩვენებდნენ, რომ ისტორია იციან და პატივს მიაგებენ. ისტორია იციან, განა არ იციან, მაგრამ პოსტმოდერნულად იციან, იყენებენ როგორც სურთ, მიზანშენონილობისდა მიხედვით.

**ბასული წლის გოლო სკანდალი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და ეპისკოპოსებისა გახლდათ.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეების უტიფარ სახეებსა და გაყინულ მზერაში მოჩანს შუშის არქიტექტურის ჩაკეტილობა და შეუღწევადობა, აი, კაფკა თუ გნებავთ, ესაა!!!

ეპისკოპოსები (მიტროპოლიტები) კი იმის ნაცვლად, რომ მონასტერში დღე დაღამე ლოცვაზე იდგნენ, ღმერთს განსაცდელის წინაშე მდგარი ერის გადარჩენას ევედრებოდნენ ან ამბიონიდან მრევლს შერჩევებისა და სიყვარულისკენ მოუწოდებდნენ, ვერცხლისმოყვარეობაში შთაფლუნნი, ტელევიზიების ეკრანებიდან შხამსა და ბალღამს ანთხვენ და განხეთქილებას ამძაფრებენ, შურსა და მტრობას თესავენ, და ხარობს შუშის ეკრანიდან შუშის თვალებით მომზირალი უურნალისტი, — აირია მონასტერიო!

შუშის სტრუქტურები იმატებს საქართველოში ანუ იმატებს ჩაკეტილობა, გათიშობა, იმატებს უნდობლობა და მტრობა, იმატებს სუბიექტივიზმი, ისტორიის არცოდნა და დავინყვია იმატებს, იმატებს ლიბერალური ახირებულება, — ხარ, მაგრამ არა ხარ! გამჭვირვალეა, მაგრამ ვერ დაინახავ! ღიაა, მაგრამ ვერ შეხვალ!

წინა პუბლიკაციაში ვისურვე, 2019 წელი უარჩევნებოდ ჩატარდეს, ეგებ შუღლისაგან დავისვენოთ-მეთქი. ვერ გამოდგება საახალწლო სურვილად, ამ ქვეყანაში ყველას შუღლი და აყალ-მყალი სურს.



# „პასაჟი, რომ ქალი პარ...“

– ხალხის საყვარელი მომღერალი და იბადა თბილისში, ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში, გასტროლებით ბევრს მოგზაურობს საზღვარგარეთ. მაინც რომელია მისი საყვარელი ქალაქი?

– ასეთი საბავშვო: თბილისი, მოსკოვი და პარიზი. თბილისში დავიბადე, მის მელოდიებზე გავიზარდე, მოსკოვი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ქალაქია, რომელშიც პირველად 1992 წელს მოვხვდი. ეს უზარმაზარი პოლისია, რომელიც დასავლეთს მის თითოეულ მცხოვრებს. მე არ მქონია მიზანი, მოსკოვი დამეპყრო, მაგრამ დედაქალაქმა თბილისად მიმიღო. აქ არასდროს გადავიწყვიტე ჩემდამი, როგორც კავკასიელი სადამი უარყოფით დამოკიდებულებას. მოსკოვში თავს კარგად ვგრძნობ, მასთან ბევრი დადებითი ემოცია მაკავშირებს. არასდროს მიცდია, ჩემი მშობლიური საქართველო რომელიმე სხვა ქვეყანაზე გამეცვალა, თუმცა კი ბედნიერი ვარ იმით, რომ პოპულარული არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც ვარ. იმედი მაქვს, რომ მოსკოვში სამუდამოდ დავრჩები.



ბგერაზე ვუგებდით... მაგრამ, ამავე დროს, უნებლიეთ ერთი ბრძენის სიტყვები მაგონდება. „თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ორი ტრაგედია ხდება, როცა ნატვრა არ სრულდება და როცა სრულდება“. ასევე იყო ნიუ-იორკში, სადაც სახელოვან კარნეგი-ჰოლში, იმ დარბაზში ვიმღერე, რომლის კედლები მე-20 საუკუნის უდიდესი მომღერლების მომსწრენი არიან. ვიმღერე და მე-რე ვფიქრობდი, ამის შემდეგ რაღა უნდა მოხდეს-მეთქი?!

ისე კი, ცხოვრებაში ერთი დიდი გაცემა მაქვს – სიგიჟემდე მიყვარს მარათები. პირველი მარათი ესპანეთში ერთა ყმაწვილმა მომართვა, მაშინ 17 წლის ვიყავი. მერე ამიხსენს, რომ მარათებს ტყუილად არ ჩუქნიან. ახლობლებს მარათები ჩემთვის მთელი მსოფლიოდან ჩამოაქვთ, თითოეული მათგანის მიღმა რაღაც განსხვავებული ამბავია.

წელან ქალაქებსა და დიდ ადამიანებზე ვილაპარაკე, ამიტომ კიდევ ერთი დიდებული კაცი, გამოჩენილი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი მინდა გავიხსენო. იგი რეჟისორი აეროპორტში გავიცანი, მაშინ მან სომხური ჯვარი მაჩუქა და მითხრა – მარტო შენ სამოსელს ნურასდროს ატარებ, ყოველთვის რაიმე ნითელი ელევენ-

ტი შემატე, თუნდაც ყვავილი... ნითელი – ესაა ვნების, სისხლის, სიცოცხლის განსახიერება, შავი კი – კაცში ჩადებული ღირსებისა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსკოვში რომ ჩავვედი, ნითელი ტიტების თაიგული მომართვა, შავი ფერი კი ახალგაზრდობიდანვე მიყვარდა. ვიცი, რომ ახლა ხასხასა, მკვეთრი ფერებია მოდაში, მაგრამ მე მაინც შევსამოსელს ვატარებ. ახლა პირველ პაემანზეც რომ მომიწიოს წასვლა, შავებში გამოვეწყობი. ფარაჯანოვის სამახსოვროდ კი ჩემს სამოსელს მუდამ რაღაც ნითელი დეტალი ამშვენებს.

...მე საბჭოთა კავშირის დროინდელი ბავშვი ვარ, ამიტომაც ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით გავიზარდე. სრული გულწრფელობით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ზოგჯერ წარმოქმნილ კონფლიქტებს ძალიან მტკივნეულად აღვიქვამ. დიდად განვიცდი, როცა ორ ქვეყანას შორის, რომელიც მუდამ მშვიდობიანად თანაცხოვრობდა, ურთიერთობები უაღრესად იძაბება, რასაც არანაირი სიკეთე არ მოაქვს. ამიტომაც, რომ ორ ყოფილ საკავშირო რესპუბლიკას შორის ურთიერთობათა დაძაბვა ხელოვნურად შექმნილი აფიოტაჟია, რა დროსაც პო-

ლიტიკოსები დამნაშავეს ეძებენ. საქართველოში ხშირად ჩავდივარ და ცხადია, ვხედავ რუსების მიმართ რიგობის მოქალაქეების დამოკიდებულებას, ისინი ერთმანეთს მშვენივრად ეწყობიან. ხშირად პოლიტიკოსთა ერთმანეთთან ურთიერთობა და უბრალო ადამიანთა ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ასეა – პოლიტიკოსები ყურადღებას არ აქცევენ „მედლის მეორე მხარეს“. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში წარსულიც არის, ანმყოფ და მომავალიც. ქართული ტრადიციით, სუფრასთან თამადა პირველად მშვიდობის სადღეგრძელოს სვამს, ოდესღაც ამას ერთგვარი ირონიით ხვდებოდნენ, მაგრამ, როცა ქუჩებში ძაბვები გახვეულ ქალთა და ხელგანვიდ ობოლ ბავშვთა ოდენობამ მკვეთრად იმატა, ბევრი მიხვდა, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი – მშვიდობიანი ცაა.

მე იმას ვქადაგებ, რომ ქალი ვარ, რომელიც ომებისა და სისხლისღვრის წინააღმდეგია. გულგრილად ვერ აღვიქვამ ძალადობას, სისასტიკეს, უსამართლობას, თუნდაც ისინი პირადად არ მეხებოდეს. მდიდარი რომ ვიყო, ფულს სამუსიკო სკოლების ორკესტრების შექმნაზე გავიღებდი. მე ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, რომელსაც გული მუდამ იქით მიუწევს, სადაც სილამაზისა და სიკეთის აღქმა შეიძლება.

ჩემი პროფესია იმიტომაც მიყვარს, რომ ყოველ ჯერზე თითქოს ყველაფერს ნულიდან იწყებ. კონცერტზე მოსულ მსმენელს ნაკლებად აინტერესებს შენი წარსული დამსახურებები – პუბლიკას იმ კონკრეტულ მომენტში სჭირდება შენი ტემპერამენტი, პროფესიონალიზმი, არტისტიზმი... გულახდილად რომ თითხრათ, სცენაზე ყოველი გამოსვლის წინ ძალიან ვნერვიულობ და სკოლის მოსწავლესავით ვვლავ... ასე იყო ბავშვობაშიც, როცა „მზიურში“ ვმღეროდი, ასეა ახლაც...

„АиФ“,  
მთაწმინდა  
ოთარ ტურაბაილიძე

„დავითი იყო პირველი სვეტი“  
წერდა მურმან ლებანიძე და ოცნებობდა, რომ აღმასწავლებლის ძეგლი პონტის პირას აზიიდან ევროპისკენ მიქცეული იქნებოდა.

დღეს კი ეს „პირველი სვეტი“ თბილისისკენ ზურგშექცეული დგას და ევროპას კი არა, რუსეთს გაშეყვრება.

დიდგორიც გვერდზე დარჩენილა. არადა, ახალი დიდგორია გადასახდელი, რადგან დავითის მიერ სარკინოზებისგან გამოხსნილი ქალაქი ისევ მათი შთამომავლებით ავსებულია.

განსაკუთრებით – დავითის სახელობის პროსპექტი, რომლის აღდგენა-რეკონსტრუქციაც, როგორც ირკვევა, სააკაშვილს სწორედ მათ მოსანდევად ჩაუტარებია(?)...

\* \* \*

ბატონი ვახტანგ დავითაია.  
გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი...

იმ ავბედით ცხრა წელიწადს (საუბედუროდ, შემდგომაც) თავის ნამდვილ საქმესა და მოწოდებას, ფაქტობრივად, მონყვეტილი, რამდენიმე წელია, ორი მიზნის მისაღწევად იბრძვის.

პირველი: დავით აღმაშენებლის ძეგლი დედაქალაქის გულს დაუბრუნდეს;

მეორე: თბილისის გაზეთი „თბილისი“ დაუბრუნდეს.

უნდა ვაღიარო: მე არ მიბრძოლია იმდენი გაზეთი „თბილისის“ აღსადგენად, რამდენიც ბატონ ვახტანგს. „აკლებული“ მყავდა დავით ნარმანია.

ნარმანიას შეხვედბოდი მაინც. პირადად სამჯერ შეხვდით.

ბატონი ვახტანგი – მეტყვერი.

პასუხი ერთი და იგივე იყო: „გმუშაობთ მაგ საკითხებზე“...

მეორობის ვადა ასეთ „მუშაობაში“ ამოეწურა.

ერთხელ ესეც ვუთხარი: „თვალეში გატყობთ, რომ გაზეთის აღდგენა გინდათ. რა ან ვინ გიშლით ხელს? ნუთუ ესეც ბიძინა ივანიშვილის დონეზე წყდება?“

პასუხი: „არა, ასეთ საკითხებში ის არ ერევა.“

## „პირველი სვეტი“ და ორმოსდაპირთი ხელმოწერა



ვერ დავუჯერე, რადგან ღრმად მჯერა, რომ არ ერევა, მაგრამ უმისოდ ვერ წყვეტენ(?)... აი, კახა კალაძემ რომ მოინდომოს, აუცილებლად გადაწყვეტს...

\* \* \*

არადა, თუ მოვახერხებ და კახა კალაძეს შევხვდი, მჯერა, რომ შევძლებ, ორ რამეში დავარწმუნო:

**მიხანერი:** როცა ზემოხსენებულ ღია წერილებზე ხელმოწერები გროვდებოდა, წარმოდგენილი კური-ოზები აღმოჩნდა: თბილისის საპატიო მოქალაქე არ ყოფილა თვითონ ვახტანგ დავითაია და, იცით, კიდევ ვინ? – ზურაბ ნიჭარაძე, ქართული ფერწერის ცოცხალი კლასიკოსი, ვისაც ახლახან (8 დეკემბერს) 90 წელი უეუსრულდა და ამ მრგვალი თარიღის გამოც კი არ გახსენებიათ. თუნდაც ამიტომ უნდა გამოდიოდეს გაზეთი „თბილისი“...

პირველი: გაზეთი აქვს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონს (მუნიციპალიტეტს) და სირცხვილია, გაზეთი არ მქონდეს დედაქალაქს.

„შეიძლება, თბილისში რუსთაველის პროსპექტი არ იყოს?! ასევე არ შეიძლება, თბილისში „თბილისი“ არ გამოდიოდეს“ (რეზო ესაძე).

მეორე: გაზეთი, უპირველესად, თვითონ სჭირდება – თავისი (მერიის, საკრებულოს, საქალაქო სამსახურების...) საქმიანობის უკეთ წარმოსაჩენად და საზოგადოებასთან სრულყოფილი კომუნიკაციის – „ქართული ოცნებისთვის“ ამ დაუძლეველი პრობლემის მოსაგვარებლად.

„ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ გაზეთი? – უყუყუანოდ ავირჩევდი მეორეს“ (თომას ჯეფერსონი, აშშ-ის პრეზიდენტი).

\* \* \*

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის გულში დაბრუნებას, თუ ამისი მნიშვნელობა და აუცილებლობა მერიას, საკრებულოს არ ემისი, მაშინ უფრო ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე გვერნი.

მაშინ შალიკოვ მართალი ყოფილა და აღვიკოც! 15 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი გვერდიდან ამის თაობაზე კახა კალაძეს თბილისის საპატიო მოქალაქეობა მიმართეს.

41-მა საპატიო მოქალაქემ.

ეს, ჩემს გარდა, არავის დაუთვლია.

არადა, რა სიმბოლური დამთხვევაა?! თუ თბილისის მერი თბილისის საპატიო მოქალაქეობას არ მოუსმენს და მათს აზრს არ გაითვალისწინებს, მაშინ ამ ქვეყანას თვით დავით აღმაშენებლის გაცოცხლებაც ვეღარ უშველის.

ეს ღმერთმა ნუ ქნას, თბილისელებო, ეს ღმერთმა ნუ ქნას!

იოსებ ჭუგუაძე





რეალური ხდება პრეპრობიოტიკური ხანაში დაბრუნების საფრთხე, როცა ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი, სალმონელას განაჩენი სასიკვდილო განაჩენს უდრის.

მსოფლიო ჯანდაცვა კვლავ ძველი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და ხშირად უწევს ბრძოლა ისეთი ინფექციური დაავადებების გავრცელებასთან, რომელიც პრევენცია ვაქცინაციით ძალიან ეფექტურად შეიძლება. სხვა პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებით გაიზარდა ვა-

რემოს დაბინძურების უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც გლობალურ ჯანდაცვას არანაკლებ ტვირთად აწევს.

ამ და სხვა მნიშვნელოვან საფრთხეებთან გამკლავების მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი, 5-წლიანი სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა (13th Genetal programme of Work), რომელიც 2019 წელს დაიწყო და 2023 წლის ბოლომდე გასტანს. გეგმის მიზანია, შემდეგ 5 წელიწადში, საყოველთაო ჯანდაცვაზე

მილიარდით მეტ ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი, მილიარდით მეტი იყოს უზრუნველყოფილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით და დამატებით მილიარდი ადამიანის ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდეს.

2019 წელს გლობალური ჯანდაცვის წამყვან პრობლემებს შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 10 მთავარ საფრთხეს გამოყოფს და მათგან მსოფლიოს ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების ყურადღების მიპყრობას ითხოვს.



# ჯანდაცვა: 10 მთავარი საფრთხე 2019-ში

## 1. ბარემოს დაბინძურება და კლიმატური ცვლილება

მსოფლიო 10-დან 9 ადამიანი ყოველდღიურად დაბინძურებულ ჰაერს ისუნთქავს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მთავარ დაბინძურებლად ძრავის გამოწვევას თვლის, რომელიც ჰაერში სატრანსპორტო საშუალებებიდან გამოიყოფა, ასევე ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის საწარმოებიდან და შინ გამოყვებული მყარი, თხევადი თუ აირის საწვავის ქურებიდან.

ეს სახელმწიფოთა ჯანდაცვის სისტემებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რაც დედაქალაქზე ყოველწლიურად საშუალოდ 7 მილიონ ადამიანს კლავს. სიკვდილიანობის 90% მოდის დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე, ძირითადად განვითარებად ქვეყნებზე.

ადამიანი გამონაბოლქვის სახით, მიკროსკოპული ზომის, თვალის უხილავ სანამლაგს შეისუნთქავს. ტოქსინები შემდეგ ორგანიზმში ცირკულირებს და აზიანებს ფილტვებს, თავის ტვინს, გულს და იწვევს კიბოს, ინსულტს, ინფარქტს თუ სხვა მალალი რისკის შემცველ დაავადებებს.

ჰაერის დაბინძურება კლიმატურ ცვლილებებზეც უარყოფით გავლენას ახდენს, უფრო ინტენსიურს ხდის მას, რაც ასევე მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშით, კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობა ადამიანებში მალნუტრიციით, მალარიით და დიარეით (ფაღარათით) დამატებით მსხვერპლს გამოიწვევს.

## 2. არაბადავადი დაავადებები

გლობალური ჯანდაცვის მეორე წამყვანი საფრთხე არაბადავადი დაავადებებია, როგორცია, მაგალითად, დიაბეტი, კიბო და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ამ ჯგუფის რისკი ჯამში ყველაზე მაღალია. ის იწვევს ყოველწლიურად 41 მილიონ ადამიანის სიკვდილს, ანუ სიკვდილიანობის 70 პროცენტზეა პასუხისმგებელი.

აქ შედის 15 მილიონი ადამიანიც, რომელიც ნაადრევად, 30-დან 69 წლამდე ასაკში იღუპება. ნაადრევი სიკვდილიანობის შემთხვევების უმეტესი ნაწილიც დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებზე მოდის.

ჯანდაცვის ექსპერტების აზრით, გადამწყვეტ როლს აქვს მთავარი რისკ-ფაქტორი ასრულებს:

- თაბაკის მოწევა;
- ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა;
- ალკოჰოლის ძვრის მოწევა;
- არაჯანსაღი კვება;
- აბრის დაბინძურება.

## 3. პირუსული გრიპის (ინფლუნზა) გლობალური პანდემია

მსოფლიო ვირუსული გრიპის მორიგი პანდემიის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამ ეტაპზე უცნობია მისი სავარაუდო გავრცელების დრო და სიმწვავე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გრიპის ვირუსების ცირკულაციაზე მუდმივ დაკვირვებას აწარმოებს, რათა სე-



ზონური აცრებისთვის პოტენციური შტამები გამოავლინოს. ამ პროცესში 114 ქვეყნის 153 ორგანიზაციაა ჩართული. ამის შემდეგ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ყოველწლიურად გამოსცემს რეკომენდაციას, თუ რომელი შტამები ჩართონ მომდევნო სეზონის ვაქცინაციის პროცესში.

## 4. სუსტი და მგრძობიარე ბარემო

მსოფლიოს მოსახლეობის 22% ისეთ ადგილებში სახლობს, სადაც ბუნებრივი პირობები და სუსტი ჯანდაცვა მათ სიცოცხლეს მაღალი რისკის ქვეშ აყვავებს. იქ, როგორც წესი, ჯანდაცვის სისტემა სუსტია, იმუნიზაცია მინიმუმზეა დაყვანილი და ადამიანები ხშირად ელემენტარულ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობის გარეშე რჩებიან.

ამ შემთხვევაში საუბარია 1.6 მილიარდ ადამიანზე. ისინი ისეთ გეოგრაფიულ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ხშირია გვაღვა, კონფლიქტები, იძულებითი მიგრაცია და ა.შ. მსგავსი გარემო მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეშია შექმნილი.

## 5. ანტიბიოტიკული რეზისტენტობა

ანტიბიოტიკების, ანტივირუსული მედიკამენტებისა და მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნა თანამედროვე მედიცინის უდიდეს მიღწევად ითვლება. თუმცა, მათი ეფექტურობის ვადა თანდათან იწურება. ანტიბიოტიკული რეზისტენტობა არის ბაქტერიის, პარაზიტის, ვირუსის უნარი, წინააღმდეგობა გამოიწვიოს პრეპარატებს და მათ მიმართ მდგრადობა გამოიწვიოს.

პრეანტიბიოტიკური ხანაში დაბრუნების საფრთხე რეალური ხდება, ანუ იმ დროში, როცა ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი, სალმონელა და სხვა მსგავსი დიაგნოზი სასიკვდილო განაჩენს უდრის. ტუბერკულოზის მიმართ რეზისტენტობა უკვე სერიოზული პრობლემაა და ეს ფაქტი ყოველწლიურად, დაახლოებით 600 ათას პაციენტში ფიქსირდება.

ნამლების მიმართ რეზისტენტობის (მდგრადობის) გამოწვევას ხელს უწყობს ანტიბიოტიკული პრეპარატების საჭიროების გაზრდა, ჭარბად, ან არადასრულებული კურსები (ნამლის დროზე ადრე შეწყვეტა, არასაკმარისი დოზა, სისხშირე...) გამოყენება. პრობლემას აღრმავებს მეფრინველეობაში, მეცხოველეობაში და თევზეულში ანტიბიოტიკების გამოყენებაც, რაც საბოლოო ჯამში, საკვების სახით, ისევე ადამიანის ორგანიზმში ხვდება.

## 6. ეპოლა და სხვა საშიში პათოგენები

2018 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეპოლას ორი აფეთქება მოხდა. ის დიდ ქალაქებში გავრცელდა და დროის მცირე ინტერვალში მილიონზე მეტი ადამიანი დაავადდა. ერთ-ერთი პროვინცია, სადაც ხალხი დაინფიცირდა, აქტიური კონფლიქტის ზონას წარმოადგენდა და იქ ეპოლას მართვა გაცილებით რთული გახდა.

გასული წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსგავსი პათოგენების გავრცელების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს. გარეუბნებში და მეჩხერად დასახლებულ რეგიონებში მომხდარი ეპოლას აფეთქების მართვის გამოცდილება თვისობრივად განსხვავებულია დიდ ქალაქებში და კონფლიქტურ ზონებში მომხდარი ეპიდემიისგან.

## 7. სუსტი პირველადი ჯანდაცვა

როცა ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემა ექმნება, ჯანდაცვის სისტემასთან მისი პირველი შეხება, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების საშუალებით ხდება. იდეალურ შემთხვევაში, პირველადი ჯანდაცვის სისტემას უნდა შეეძლოს სა-

ჭირო და ხელმისაწვდომი, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე დაფუძნებული მომსახურებით უზრუნველყოფა მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

თუმცა, ბევრ სახელმწიფოს ადეკვატური პირველადი ჯანდაცვის სისტემის შექმნაზე ხელი ჯერჯერობით არ მიუწვდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2019 წელს მასწავლებლად გააძლიერებს ამ მიმართულებით მუშაობას და პარტნიორებთან ერთად, შეეცდება მდგრადობის შეძლებისდაგვარად გამოსწორებას.

## 8. ასრების წინააღმდეგობის განხილვა

მამცინეა უარის თქმა უკუჩვენების გარეშე, მაშინ როცა აცრები ხელმისაწვდომია, მედიცინის განვითარებაში მიღწეული პროგრესის რეგრესით ჩანაცვლებას საშიშროებას ქმნის. მედიცინაში იმუნიზაცია მთელი რიგი დაავადებების პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური, იაფი და იოლი საშუალებაა.

დღეს აცრების საშუალებით, ყოველწლიურად 2-3 მილიონი სიცოცხლის გადარჩენა ხდება. ადამიანები ნებაყოფლობით რომ არ ამბობდნენ უარს აცრებზე და იმუნიზაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, დაღუპვას დამატებით 1.5 მილიონი ადამიანი გადარჩებოდა.

შარშან წითელას შემთხვევებმა გლობალურად 30 პროცენტით მოიმატა. მიზეზი ხშირად კომპლექსურია, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, მრავალ ქვეყანაში დაავადებათა გავრცელების ინტენსივობაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია აცრებზე უარის თქმამ. იმუნიზაციისგან თავშეკავებასაც ბევრნაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თვლის, რომ ამ მიმართულებით მდგრადობის გამოსწორება, მოსახლეობასთან სწორ კომუნიკაციას და სანდო ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებას უდიდესი დადებითი გავლენა აქვს.

## 9. დენგის ცხელება

დენგის ინფექცია კოლოს საშუალებით გადადის. ის ცხელების მაგარი სიმპტომებით ხასიათდება და დაავადებულთა 20 პროცენტს კლავს. 2018 წელს დენგის ცხელების დაახლოებით 390 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა.

დაავადების რისკი განსაკუთრებით იზრდება წვიმიან სეზონზე და ისეთ ქვეყნებში, როგორცია ბანგლადეში და ინდოეთი. გასული წელი განსაკუთრებით მსხვერპლიანი იყო ბანგლადეშისთვის, სადაც ბოლო 20 წელიწადში ინფიცირების და სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. 2018 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ დენგის ცხელება გავრცელდა ნეპალშიც, ქვეყანაში, რომლისთვისაც მსგავსი დაავადება აქამდე უცხო იყო.

## 10. აივ-ინფლუნზა

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში კაცობრიობამ ბოლო წლების მანძილზე უზარმაზარ წარმატებას მიაღწია, იქნება ეს ტესტირება, ანტი-რეტროვირუსული მკურნალობა, თუ პრევენციული ზომების გატარება. ამჟამად მკურნალობას გადის აივ-ინფლუნზით დაავადებული 22 მილიონი ადამიანი.

